ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 136

ქალაქი ქუთაისი 15 ნოემბერი 2022 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „კ" ქვეპუნქტების, 24–ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 ნოემბრის №44-4422314224 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №149 განკარგულებაში, კერძოდ:

1. განკარგულების №1 დანართიდან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილები) ამოღებულ იქნეს მე-8 (ფალიაშვილის ქუჩა №19-27 შენობის სამხრეთით, ფართობი: 630.0 კვ.მ. საკადასტრო კოდის №03.03.21.378), 65-ე (ფალიაშვილის ქუჩა №33 შენობის სამხრეთით, ფართობი: 360.0 კვ.მ. საკადასტრო კოდის №03.03.21.196) და 114-ე (ფალიაშვილის ქუჩა №29 შენობის სამხრეთით, ფართობით: 210.0 კვ.მ. საკადასტრო კოდის №03.03.21.386) პუნქტები.

2. განკარგულების №2 დანართიდან (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების სპეციალური ადგილები ტაქსებისა და სპეციალური ტრანსპორტისათვის) ამოღებულ იქნეს მე-3 (ფალიაშვილის ქუჩა №19-27 შენობის სამხრეთით, ფართობი: 120.0 კვ.მ. საკადასტრო კოდის №03.03.21.378) და 25-ე (რუსთაველის მოედნის აღმოსავლეთით, ფართობი: 37.0 კვ.მ. საკადასტრო კოდის №03.03.21.461) პუნქტები.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს ხელშეკრულებაში სათანადო ცვლილების განხორციელება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერია
საქართველო
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბას. № 235
16.11.2022

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ——— ირაკლი შენგელია